

4  
ს - 561

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**ტარიელ სიხარულიძე**

**ფრანკოფონიის სოციოლინგვისტური ასპექტები**

რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება 10.02.04

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი - 2003

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**ტარიელ სიხარულიძე**

**ზრანაოზონის სოციოლინგვისტური ასკმტაპი**

რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება 10.02.04

-1895-  
-5681-

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თბილისი - 2003

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. დოხტურიშვილი

ოპონენტები:

- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ლებანიძე  
- ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ქ. გაბუნია

დისერტაციის დაცვა შედგება "11" ივნისი 2003 წ. საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოზე P 10. 01 N 7

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქუჩა №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა "10" მაისი 2003 წ.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გ.წიბახაშვილი

თემის აქტუალობა: საქართველოში უცხო ქვეყნების ენობრივი პოლიტიკის შესწავლის ტრადიცია დღემდე არ არსებობდა. წინამდებარე ნაშრომი ამ პრობლემის ერთი კონკრეტული მიმართულების – ფრანკოფონიის მონოგრაფიული შესწავლის პირველს ცდას წარმოადგენს.

დასავლური ენობრივი პოლიტიკის შედეგების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს თავი ავარიდოთ ეთნიკურ კონფლიქტურ სიტუაციას, დაგვეხმარება საკუთარი ენობრივი პოლიტიკის პრინციპების შემუშავებაში და ჰარმონიული ეთნოენობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

ინტერდისციპლინარული (ეთნოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოპეთოდიკის, პრაგმალინგვისტიკის და სხვა) დარგების წარმოჩენა განაპირობა სოციუმის ინტერესმა იმ ზონების მიმართ, რომლებიც კონკრეტული მეცნიერებების (მაგალითად სოციოლოგიისა და ლინგვისტიკის) ტრადიციული კვლევის არეალს სცილდება. შესწავლის ახალმა ობიექტებმა განსაზღვრა ისეთი ცნებების შემოღება, როგორცაა: ენობრივი დაგვემარება, ენობრივი სიტუაცია, ენობრივი პოლიტიკა, ენობრივი მშენებლობა, ენის მდგომარეობა, ენის სტატუსი და პრესტიჟი, ბილინგვიზმის გაჩენის კულტურულ-ეკონომიკური და ადმინისტრაციულ-იძულებითი ფორმები და მრავალი სხვა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სოციოლინგვისტიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ჩამოყალიბდა გასული საუკუნის სამოციან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციოლინგვისტიკის ძირითადი მეცნიერული პრინციპები გამოიკვეთა ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში, სადაც სოციოლოგია და ლინგვისტიკა თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა და ფაქტობრივად პარალელურად ვითარდებოდა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციოლინგვისტური კვლევები (ფრანკოფონიის ასპექტები) გლობალური ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების დროს: სოციალური რევოლუციებისა თუ ევოლუციების შედეგად კოლონიალური სისტემის რღვევა, საბჭოთა კავშირის დაშლა (რუსული ენის სტატუსის შეცვლა), დამოუკიდებელი ქვეყნების ჩამოყალიბება და ა.შ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: თანამედროვე ფრანკოფონია შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპლექსური ფენომენი, რომელიც მოიცავს ენას, პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლებასა და კომუნიკაციას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ფრანკოფონიის ობიექტურ აღწერა-განალიზებაში, მისი თავისებურებების ენობრივი პოლიტიკის სხვა მოდელებთან მიმართების წარმოჩენაში, ისტორიული საფუძვლების, თეორიული ასპექტების, გავრცელების მეთოდიკის